

# სსრსის ფურსელი

№ 1951

შაბათი, 12 თებერვალი

1896—1902

სოფელ-დღიური გამოცემა

№ 1951

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ყველგან სტრატონი „პეტრიტი“ პირველ გვერდზე—10 კა., მეორეზე—5 კაპ.  
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „შობაძე“-ს ცნობის ფურცელზე, რედაქციის კონტრაქტის განკარგვის დღეებზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა აზნაუნაგობის კონსუმი (ქვაშეთის ვაკის სანაპირო).

ხელ-მოწერელი წერილები არ დაბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელგანთავსებელს უნდა გამოეწერათ.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Дниль-Пурдани“-„Шობაძე“. ტელეფონი № 372.

## განცხადება

### ტფილისის ქალაქის მოსახლეთა მოადგილე

ამით აუწყებს ბ. ბ. ამომრჩეველთ, რომ 1902 წ. 13 ოქტომბრისათვის, დილის 10 საათზე, დანიშნულია **დამატებითი არჩევანები** ქალაქ ტფილისის საბჭოს შემოსებისა 1902—1906 წლებისათვის. ასრჩევია **მისამხმარებელი რაიონები** კიდევ ერთი შემოსებისა და არა ნაკლები ექვსის კანდიდატისა; სოლო ნამუდგვეს 5 საათზე იმავე დღეს ასაჩვენია **მოსახლეობის რაიონების** არა ნაკლებ ორის კანდიდატისა. დამატებითი არჩევანები მოსდება საბჭოს დარბაზში. შესავალი ველიმინაციის ქუჩიდან. ამომრჩეველთ თან უნდა ჰქონდეს შესასვლელი ბილეთები, რომლებით სარგებლობდნენ 26 და 29 სექტემბერს საარჩევანო კრებაზე შესასვლელად. ვინაც ეს შესასვლელი ბილეთები არა აქვს, შეუძლიან მიიღონ გაბეჭდვის კანცელარიაში 13 ოქტომბრამდე. არჩევანების დღეს უთუბს დაუდგენ ველები იმათ, ვინც უწინაც განაცხადს სურვილი უთუბს დადგინა მე-2 და მე-3 საარჩევანო რაიონებში. სოლო ვინაც მამინ კენჭი არ უურთა, მათ კეთილ ინებონ და წერილობით განუცხადონ ქალაქის თავის მოადგილეს თავიანთი სურვილი. (3—3)

ქართველთა დამსახურთა თეატრი (ტელეფონი № 617)  
დღეს, შაბათს, 12 ოქტომბერს, სარკოვის საბუღალრო დარბაზში შარბოლდენილი იქნება ორი სრული ოპერა

### სალსაია ჩისტ

ოპერა 1 მოქ., მუსიკა მასკანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი: ზორინისა, დობრენსკისა, ბაუერი; ბ-ნი: ლენსკი, კამენოვსკი და სხვანი. **კაპელმეისტარი** დ. პ. შტეინბერგი.

### დამონი

ოპერა 3 მოქ. და 5 სურ. მუსიკა რუბინშტეინისა.  
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი: არტობაშვილისა, დობრენსკისა, სკორუპსკისა და სხვანი; ბ-ნი: ვასილიევი, პოლოუხანოვი, ჩემეზოვი, სერგეევი და სხვანი. **კაპელმეისტარი** მ. მ. ბუკუა. **ხორმეისტარი** ა. გ. ზვერენსკი. **ბალეტმეისტარი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისა სადამოს 8 საათზე.

კასის დარბაზი 10-დან ნამუდგვეს 3 საათამდე და სად. 6 საათიდან წარმოდგენის გათავისებულება.

ხვალ, კვირას, 13 ოქტომბერს, შარბოლდენილი იქნება „გარმონი“

დან ხალხის რაფსოქს შესრულებს ა. პ. ბონაჩინი.

შეადგება წარმოსადგენად „მარგალიტის მძებნელი“ მუსიკა ბახუცა.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ი. ვითომევი**. (5. 0—20)

### ნ. მ. ასპიროვი

თეატრის, ცხვირის, ურის და ყელის სნეულებით ავადმყოფთ მიიღებს შუადღის შემდეგ 1—5 სათ. და საღამოს 7—8 საათამდე.

დარბაზი უფასოდ.  
მიხეილის პროსპექტი, 47. (14—3)

### ქ. ფოთში

გაიხსნა წიგნის მალაზია საკანცელარია და სამოსწავლო ნივთებით. ვლენტულობა ქართულ წიგნებს საკომისიოდ. (14—3) **მეგობარი საზანაგობის**

### გ. ს. მუსხელიაშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონიტ საღამოს 5—6 საათამდე.

კირონი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, სახელგანთავსებელი კარუკის პირდაპირ. (45—14)

### კვილის მამი

ივანე ზავლეს ძე **ახალშენიშვილი**

იღებს ყოველ-დღე კვილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამომთ 5—7-მდე. კვირა-უქმებ-დღეებში 9—2-მდე და საღამომთ 5—7-მდე.  
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

### მამი

ალექსანდრე ვიორის ძე **მალალაშვილი**

(შინაგანის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).  
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საზავლო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამომთ 6—8-მდე.

### ტფილისის

### კერძო სამკურნალო

### გაფრანგული

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, დღით:

**3. 0. შიხინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**5. 6. მულინი**. ურისა, ვეჯისა და ცხვირის 9—10.

**3. 8. დამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**3. 8. მალალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სმშპათობით, სუთშპათობით და შპათობით.

**0. 2. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. კაროვი**—სმშპათობის (ხარკოვო) ავადმყოფისათვის: სმშპათობით, სუთშპათობით და შპათობით 10 საათიდან 11-მდე.

**3. 8. მალინი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**3. 8. მალინი**—შინაგანი, ნერვებისა და წმელისა ელექტრონიტ 12—1 ს.

**3. 8. მალინი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სმშპათობით და შპათობით 1—2 საათამდე.

**3. 8. მალინი**—დღესათ სნეულებანი, ორ-შპათობით, ოთხ-შპათობით და შპათობით 12—1 საათამდე.

**3. 8. მალინი**—სიფილისის, კანის-და-სმშპათობის 1—2 საათამდე.

**3. 8. სოლოვიოვი**—სმშპათობისა და ორ-ტრამუდის: ორ-შპათობით, ოთხ-შპათობით და შპათობით 1—3 საათ.

საღამომთ:

**0. 5. თომანიშვილი**—დღესათ სნეულებანი 5—6 საათამდე.

**3. 8. მალალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ვეჯისა: დღესათ 5—6 საათამდე. (შეკრება-ქაშაურისა და პეტროვო-პოლოვოვი გარეუბანი).

სმშპათობისა და შპათობისა: აქვს სწავლა ოთხ-შპათობით.

ფასი რჩევისა და დარბაზისა 50 კაპ.; ოპერა-კრები მორიგებით. კრავატები—სამი მანათილამ ხუთამდე.

დარბაზი: კუკია, ხაჯიფოვის ქუჩა, სხვა სანაგობისა, № 21. (საღამოს ქუჩის დასაწყისში).  
ტელეფონი № 374. (წლ.)

წარმოდგენა 5 ტელეფონი 617

### დილის წარმოდგენა

### ქართული თეატრი

კვირას, 13 ოქტომბერს 1902 წ. შუადღის 12 საათზე

ქართულ დრამატულ დასის მიერ **წარმოდგენილი იქნება**

**მლიქნე დაკრებულნი ფანჯარით**

მეორე იაზ-ფანჯარის წარმოდგენა

### ლანდი

(ანუ პრამოდა მედნიერებისათვის და სარწმუნოებისთვის).

დარბაზი. ზღაპ. 5 მოქმ. და 6 სურ. თარგმ. ლაზარიაშვილის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლევაია, ნ. რონელი, როსტომიანი, ნათელი, ლალია და სხვ.; ბ-ნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გელევიანი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ლანდი, ელენტი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოკები 4 მანეთიდან 6 მანეთამდე, პარტები 50 კაპ-დან 1 მ. 50 კაპ-მდე, ამფითეატრი 60 კაპ-დან 1 მანეთამდე, კაფეები 20 კაპ-დან 35 კაპ-მდე. შეკრებებისთვის ადგილები პარტებში 40 კაპ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

შეადგება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“, „ზუბდურ ვარსკვლავზე“ და სხვ.

რეჟისორი მ. მუსხელიანი.

თეატრის გამკეობა უმარბილესადაა სთხოვს მუშურებებს შიგნით მოქმედების დროს ტანს ნუ დაუკრავს და ნუ გამოიწვევს სიძულვე მისხობით, რადგან უდროოდ-დროს მოქმედების შეწყვეტა შეესაბამება და მისხობითაც ვარსკვლავი აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაწყევლად.

### სასოფლო სამშრომლო საპროგრამათა

### წერილების გამოცემა

ბ-მა რ—მა, რომლის წერილის სასოფლო-სამეურნეო საქმეობათა შესახებ მკითხველი ქვემოთ დინახავს, აღძრა საზოგადო პრინციპალური საკითხი: შეიძლება თუ არა თანამედროვე პირობებში გლეხ-კაცობის მდგომარეობა გაუმჯობესდეს? წერილი სკეპტიციზმით არის გამსჭვალული, თუმცა, როგორც ქვევითაც დავინახავთ, სკეპტიციზმი საგნებით არ არის დაცული.

ავტორი ამბობს, თანამედროვე პირობებში არც შეიძლება გაუმჯობესდეს გლეხობის მდგომარეობა. წერილში ნათლად არა სჩანს, სახელდობრ რომელ პირობებზე აქვს ავტორს ლაპარაკი. თუ ჩვეულებრივად ზოგიერთ ადგილებს, ბ. რ—ს ეკონომიური პირობები აქვს სახეში. მაგალითად, ის სწერს: „მიეცით გლეხს საკმაო ვანათობა, მიეცით ერობაში მისი ინტერესების დამცველი და სხვა, ის მაინც დაქვეითებული იქნება, როგორც დაქვეითებული ევროპის გლეხობის“ უმეტესი ნაწილი... „საზოგადოების განვითარება უფროდღის ასცდება გლეხ-კაცობას“... და სხვა, თუ ამ ადგილებით ვინმე მოძღვრებულა, ცხადია, ავტორი ეკონომიურს პირობებზე ლაპარაკობს, რადგან სხვა პირობები ერთი და იგივე არ არის ჩვენსა და დასავლეთ ევროპაში. მაშასადამე, ბ. რ—ი ჰფიქრობს, რომ თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილება ვერ შესძლებს გაუმჯობესდეს სოფლის დღევანდელი მდგომარეობა.

აქ ჩვენ ვუახლოვდებით იმ უკიდურეს მოძღვრებას, რომელიც ამტკიცებს, რომ თანამედროვე ეკონომიური ევოლიუცია ფატალურად ძირს უთხრის გლეხის კეთილდღეობას და არაფრით არ შეიძლება მისი გაუმჯობესება. ამ მოძღვრების თანახმად, მისი მიმდევარი სოფელს არც აქცევდენ უზრუნველს და მთელი თავისი ძალ-ღონე ქალაქის ხალხზე ჰქონდათ მიმართული. მაგრამ დრონი იცვალენ: სოფელი, აგრარულმა საკითხმა კვლავ მიიქცეს საერთო უზრუნველს, რადგან გამოქვეყნდა, რომ სოფლის ეკონომიური ევოლიუცია ისე არ სწარმოებს, როგორც ხსენებული თეორია ამტკიცებს; რომ ეს ევოლიუცია თავისებურ კანონებს ემორჩილება, რომელნიც განსხვავდებიან მრეწველობის ევოლიუციის კანონებისაგან. გარდა ამისა, თვით ცხოვრებამ დაქინებით მოითხოვა აგრარულ საკითხზე უზრუნველს მიქცევა, რადგან ბევრგან სოფლის მდგომარეობა მეტად გამოწვევდა... ამიტომ, თვით იმ მოძღვრების მიმდევარი, რომელიც გულზე ხელმ-დაკრებილი მოელოდნენ სოფლის ხალხის გაპროლეტარებას, შეუდგენენ სხვა გზების არჩევას და თავის მოღვაწეობის ტაქტიკის გამოცვლას. ახლა ისინიც ჰფიქრობენ, რომ თანამედროვე სოციალურს პირობებშიაც შეიძლება გაუმჯობესდეს გლეხობის მდგომარეობა და სხვებთან ერთად ზრუნავდენ სოფელში კრედიტის საქმეზედაც, მიწათ-მფლობელობის გაფართოვებაზედაც, ტენიკის განვითარებაზედაც და სხვა-და-სხვა ღონისძიებაზე, რომელნიც წინადასახილდ ქვემოთ აღებული და რომლებზედა ზრუნვა „ლიბერალებს“ დაულოცეს...

ბ-ნი რ—ც ვერ ასცდენია ამ ცვლილების გავლენას და ამიტომაც არის მის წერილში აზრების წინააღმდეგობა: წერილის პირველ ნაწილში ის დაბეჯითებით ამბობს, გლეხობას არაფერი ეშველება და რაც გინდა მიეცით, დაქვეითებული იქნება ხოლო მეორე ნაწილში თვითვე აღწუხავს სხვა-და-სხვა გვარ ღონისძიებათ და ამბობს, მათი განხორციელება **დიდს საარგენტობას** მოუტანენ ხალხსაო. გლეხის უფლებრივი გათანასწოვება სხვა წოდებებთან, „როზგის“ მოსპობა, საპროგრამო წესების გადასინჯვა, თვითმმართველობის გაფართოვება, სასოფლო-სამეურნეო მოწყობა, სამეურნეო საწყობების დაარსება და სხვა—განა ეს რეალური ღონისძიებანი არ არიან, რომელთა ასრულება თანამედროვე პირობებშიაც შეიძლება და რომელიც სოფლისათვის სასარგებლონიც არიან? ეს ღონისძიებანი უთუოდ გააუმჯობესებენ გლეხობის ცხოვრებას (წინააღმდეგე არც ავტორი ჰფიქრობს, თორემ არც დასახელებდა მათ) და მაშასადამე ვერც იმას ვიტყვით თითქო „საზოგადოების განვითარება და უპირველესად ტენიკური განვითარება, ყოველთვის ასცდება გლეხ-კაცობას“...

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გაუმჯობესება რათა სოფლის ავტორი შეუძლებელად „თანამედროვე პირობებში“ გლეხის მამულის მფლობელობის გაფართოვებას? სახელმწიფოს ხელთ აქვს ბევრი ძლიერი საშუალება, რომელთა შემწეობით ადვილად შეუძლია გაუმჯობესდეს გლეხთ ადგილ-მამულის შექმნა, იჯარით აღების პირობანი და სხვა. ამგვარ საშუალებათა შემწეობით შესაძლებელია გლეხის მამული ევრედ წოდებულ „სამათხოვრო ნადელს“ აღარ წარმოადგენდეს და იმდენად მაინც გაფართოვდეს, რომ ზოგიერთ ტენიკურ გაუმჯობესების მოხდენასაც შეაძლებინებდეს.

ვინ ამბობს ან ვისა ჰქონდა აზრად, რომ შეიძლება თანამედროვე სოფელში სრული ბედნიერება დამყარდეს და გლეხობა აყვავდეს? ტყუილად ჰფიქრობს ბ. რ—ი, ვითომც ჩვენს პრესას „ან საზოგადოებას გადამეტებული იმედები უღვივოდეს გულში. სრულიადაც არა: ლაპარაკი, სჯა-ბასი და ზრუნვა სწორედ იმაზე, რომ გაკეთდეს ის, რაც თანამედროვე სოციალურ-ეკონომიურ

\*) კურსივი ყველგან ჩვენია.

პირობებში შესაძლებელია. ხოლო რომ ამ პირობებშია ბევრი რამ შეიძლება გამოიკვლიოს გლახობა საკეთილდღეოდ, ამას იმ ევროპის მაგალითიც გვიმტკიცებს, რომელიც საკეთილდღეოდ, ცოტა არ იყოს, უადგილოდ ეხება. მართლაც, განა შესაძლებელია შედარება იქაურ და ჩვენ გლახობა მდგომარეობის შორის? სხვა რომ არა ვთქვათ-რა, ის საშინელი საერთო შიმშილი მაინც არ იქნება, რომელიც ასე დაეხება რუსეთს და რომელიც გამოიწვია ახლანდელი კომიტეტების დაარსებამ.

არა, თანამედროვე ეკონომიური პირობანი ნებას იძლევიან თვალსაჩინოდაც განიკურნოს გლახობის მრავალი ქრილობა და „სხვა და სხვა კომისიების“ შრომა და პრესის მაცადინებობა ამაო არ არის. ამ მხრით ბ. რ.—ის სკეპტიციზმი შემცდარია. სულ სხვა საკითხია, როგორი დაბრკოლება აღმოუჩნდება კომიტეტების ცდას პრაქტიკულად, ესე იგი, არა ეკონომიური პირობებისაგან. ამ შემთხვევაში ლონსიდებობა მეტ-ნაკლებობას აქვს მნიშვნელობა და არაფერ არ იქნის, როგორ დამთავრდება საქმე. ხოლო თუ წინააღმდეგობა გაიხსნება, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრესიზმი სრულიად უადგილო იყოს; მაგრამ ერთ დიდ სარგებლობას მაინც ვერ უარსკოფს ბ. რ.—ი და მისი თანამოაზრენი: სრულიადაც რომ არაფერი გამოვიდეს დაწყებული საქმიდან, — იმ სურათს სოფლის ცხოვრებისას, იმ ფაქტებსა და ცნობებს, რომელთაც ვაგიგობთ, იმ ცდასაც, რომელიც მოჰყვა მთავრობის მოწოდებას, იმ პასუხს, რომელსაც მისცემს ქვეყანა და იმ შედეგს, რომელიც მოჰყვება საერთო ცდას, — ყველა ამათაც დიდი, მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება არა ხალხის თვით-ცნობიერების განვითარების საქმეში.

**წერილები**

სოფლის, საქართვებთა შესახებ

უკანასკნელ დროს ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ სოფელზე, მის ქირ-ვარამზე. ძნელად შეხედებით დროგამოშვებით გამოცემას, რომ რამოდენიმე სიტყვით მაინც არ ეხებოდეს აღძრულ კითხვას. შარშან სხვა მასალა იყო სალაპარაკო, შარშან შეგვეძლო სასკოლო კითხვას შევხებოდით; წელს ახალი სალაპარაკო საგანი გავიჩინა. შარშან გვეგონა მთელი სკოლის წეს-წყობილება შეინძრაო, წელსაც ამასვე სოფლის მდგომარეობის შესახებ ჰქვიტობენ. ჩვენც მოვისურვეთ ვისარგებლოთ წუთით, თუმცა არა იმ იმედით, როგორც ჩვენს პრესას სჩვევია ხოლმე.

თუმცა ძლიერ ცოტა დროა მას შემდეგ, რაც ეს კითხვა აღიძრა, მაინც ბევრი აზრი გამოითქვა მწერლობაში. ერთს ჰსურს სოფელი სწავლა-განათლებით განკურნოს და წუწუნებს არსებულ სასწავლო წესის უფარვისობაზე, ადგენს პროექტებს საყოველთაო და უფასო სახალხო განათლების შესახებ; მეორეს ერობა ჰგონია უებარი წამალი სოფლის დაქვეითების წინააღმდეგ და თხოულობს წოდებრივი პრივილეგიები მოხსნას ერობაში, მისი უფლება, უკანასკნელ დროს ძლიერ შეზღუდული კვლავ გაფართოვდეს, შემოღებულ იქნეს იქ, სადა არ არსებობს და სხვ.; მესამე ყოველივეს სასოფლო კრედიტის მოუწყობლობას აწერს და შესაფერ რეკეპტებს წერს და სხვ. ჩვენ შეგვეძლო ამნაირი მაგალითები ძლიერ ბევრი მოგვეყვანა, მაგრამ მით მხოლოდ უბრალოდ დავალაგეთ მკითხველის გონებას და არსებითად კი ვერაფერს შევხებით. ჩვენთვის არც ის არის საჭირო, რომ ვინმე ყველა ამ მიზეზებით ხსნიდეს გლახობის ჩამოქვეითებას. ყველა ეს ერთნაირია, ყველას ჰსურს გლახობის მდგომარეობის გარეგანი შესწავლით, განკურნოს და ამიტომაცაა, რომ ძლიერ დიდი იმედი აქვთ სხვა-და-სხვა კომისიებისა... მაგრამ საკმაო ცოტა უფრო ღრმად ჩავუყვირდეთ აღძრულ კითხვას, რომ დავიანახოთ, გლახობა დაქვეითებულია არა იმიტომ, რომ მის სწავლა-განათლებლაზე არ ზრუნავენ, რომ მას ერობაში არ ჰყავს საკმაო წარმომადგენელი, — არა იმიტომ, რომ სასოფლო კრედიტი მოუწყობელია, არა იმიტომ, რომ ის სოფლის მოხელეთა და ჩაჩთა კლანჭებშია გახლართული და სხვ. პირ-იქით, ყველა ეს და ბევრი სხვა ამგვარი დამოკიდებულია **საზოგადოებრივი წინააღმდეგობის** მდგომარეობისა-

გან. მიეცით გლახობის საკმაო განათლება, მიეცით ერობაში მის ინტერესების დამცველი და სხვ., ის მაინც დაქვეითებული იქნება, როგორც დაქვეითებული ევროპის გლახობის უმეტესი ნაწილი, იმ გლახობის, რომელსაც ეს ყოველივე და უფრო მეტიც აქვს. ცხადია, ძალის თავე სხვაგან ყოფილა დამარხული... **გვერდის უბედურება პირველად** **საქმაო ადგილ-მამუღლის უქონლობაშია;** მეორე — **ადგილ-მამუღლის პრინციპული წესით დამუშავებაში...** და რამდენიც უნდა ვიწუწუნოთ, გლახობა მაინც გლახობა დარჩება, სანამ ეს ორი უმთავრესი მიზეზი არ მოიხსნება, რაც შეუძლებელია თანამედროვე პირობებში... სანამ ეს მიზეზები არსებობენ, ვერავითარი რეკეპტები ვერ განკურნავენ თანამედროვე გლახობას; საზოგადოების განვითარება ყოველთვის ასცდება გლახობას, და უპირველესად მისი ტენიკური განვითარება. პოლიტიკური ზომებით აქ ბევრს, როგორც საზოგადოდ, ვერას ვაწყობთ; ამნაირი ზომებით შეგვეძლება ათი, ოცი ან მეტი გლახობის გამოყვანა არსებულ დაქვეითებისაგან, მაგრამ შეუძლებელია გლახობის მთლიანად განიკურნოს, როგორც ამას ევროპის მაგალითიც გვიჩვენებს. შეუძლებელია საზოგადოებამ ღმრთავობამ მთელ გლახობას მისცეს ყოველნაირი მისთვის საჭირო იარაღი, ამას ხაზინაც არასოდეს არ იკისრებს, სხვა მიზეზებიც რომ არ იყოს...

აქედან ცხადია, რას უნდა მოველოდეთ სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებისაგან. უმთავრესი კითხვა ხელუხლებელი დარჩება ახლაც... მიუხედავად ამისა, ამ კომიტეტებს შეეძლება დიდი სარგებლობა მოუტანონ ხალხის განვითარებას, თუ საკმაოდ განიხილვენ წვრილმან უფლებრივ და ეკონომიურ მიზეზებს და ეცდებიან მიაქციონ მთავრობის ყურადღება სწორედ ამ მიზეზებზე: ეცდებიან გაუთანასწორონ გლახობის უფლებრივად სხვა წოდებებს, როგორც მაგ. „როზგის“ მოსპობის აუცილებლობის ჩვენებით, პასპორტისა და სხვა წესების გადამსწვით; მათ შეეძლებათ წამოაყენონ პიროვნების განთავისუფლების საჭიროება და ამ მიზნისათვის იმითითონ თვითმართველობის პრინციპს, რომელსაც ამ ბოლო დროს ასეთი დევნა ეწვია და სხვ... ეკონომიური მხრით კომიტეტებს შეეძლებათ მოაწესრიგონ სასოფლო კრედიტი, წამოაყენონ სამეურნეო საწყობების გამართვის საჭიროება და სხვ...

**საზღვარ-გარედ**

**ინფლიცია.** მთავრობას კარგად ესმის, რომ სასკოლო ბილის დამტკიცება გაუჭირდება. ჯერ ხომ დეპუტატთა პალატის ლიდერმა (წინამძღოლმა) გამოსცა ცირკულიარი და სთხოვა უნიონისტებს პალატის სხდომებზე ყველამ რიგზე იარეთო, ესლა კიდევ მთავრობის მომხრე პარტიის უმთავრესმა გამგემ გამოსცა მოწოდება და სამინისტროს მომხრეებს მოაგონა, მთავრობა დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. მართლაც და, ბილის თაობაზე დიდძალი წინადადებებია შემოტანილი: სულ მცირედ 750 მიანკ იქნება; ამ რიცხვიდან 588 წინადადება ლიბერალებს შეუტანიათ, 110 — კონსერვატორებს, 44 — ლიბერალ-უნიონისტებს და 7 — ირლანდიელებს. ყველა წინადადებაში ბილის გასწორებაა მოთხოვნილი. 380 წინადადება ბილის მე-8 მუხლს შეეხება. ეს მუხლი კონფესიონალურ სკოლების თაობაზეა დაწერილი. მე-12 მუხლის თაობაზედაც — სასკოლო კომიტეტს შეეხება — ბევრი წინადადებაა შემოტანილი.

ლორდ როზბერის ლონდონში სიტის ლიბერალურ კლუბში სასკოლო პროექტზე ულაპარაკებია და უთქვამს, ყველას ის ემჯობინება, მთავრობამ თავისუფალი (კონფესიონალური) სკოლები შეისყიდოს და მთელს ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ პირველ-დაწყებით სწავლისათვის ერთნაირი წესები დააწესოს. ამნაირი რეფორმა გაცილებით იფად დაჯდება, ვიდრე სამხრეთ-აფრიკაში ნახევარ-წლის ომიო.

**საზრუნავითი.** პარლამენტის სესიის გახსნას ახალ საპარლამენტო ჯგუფების დაარსება მოჰყვა. ჯერ რესპუბლიკულ ნაციონალისტთა ჯგუფი დაარსდა. ამ დღეებში კიდევ „თავისუფალ მოაზრეთა ჯგუფი“ დაარსებულა; მეორე ჯგუფის თავმჯდომარედ დეპუტატი ჰიუბარტი ირჩინეს. ოპოზიციამ ამხალს ჯგუფს „პარლამენტის მასონთა საზოგადოების“ სახელი დაარქვა.

ეორესის კანდიდატურა პალატის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე შემარცხნეთა ყველა ჯგუფებს მოეწონათ. ამიტომ იმედობაზე. მაგრამ ნაციონალისტებს კი ჯავარი მოსდით ამხე: ესენი ამტკიცებენ, სწორედ უცნაურობა იქნება, ეორესის მივეცეთ ეს თანამდებობაო, რადგანაც ეორესი აშკარად ჰქადაგებს, რომ რევანშზე ხელი უნდა ავილოთო. „ფიგარო“ ამბობს: „ეორესი თავის ნიჭით პალატას ამშვენებს; ამ ნიჭიერ მოღვაწის კანდიდატურა კარგი ნიშანია იმისი, თუ საფრანგეთის პალატამ რა რიგად წაიწია მარცხნივ.“

**პარლამენტის მინისტრ-პრეზიდენტი** ვინაა. ჯერ ფინანსთა მინისტრმა ბემ-ბავერმა ბიუჯეტის პროექტი მოახსენა პალატას, შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა ავსტრიის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა დაასურათა. პირველ მინისტრმა სთქვა: პარლამენტმა წარსულ წლის ბიუჯეტის განხილვა ბოლომდე დაასრულა, ამით ხალხის ნდობა მოიპოვა და ყველას უკეთეს მომავლის იმედი გაუღვიძა. პარლამენტი უნდა ეცადოს მომავალშიც არ დაჰკაროს ეს ნდობა. მერე კერბერმა ყველასათვის საინტერესო საგნებზე დაიწყო ლაპარაკი: ენების უფლებებისა და ჰუნგრეთთან შეთანხმებაზე. პირველ მინისტრმა გამოაცხადა, მთავრობა ამ ორ საგანს შუა არაფერ კავშირს არა ჰხედავს. იმედი მაქვს, ჩემის ერის წარმომადგენლები ვერ მისაყვედურებენ, რომ ჩემი პოლიტიკა ენების საქმეში ცუდი იყოს. (ჩემები გაცხარებით პროტესტს აცხადებენ). ჩემზე ამბობენ, ვითომ ჩემების მტერი ვიყო და გერმანელების ბძანებაზე დავდიოდე, მაგრამ ეს ტყუილი აზრია. კერბერი ორსავე ერს უჩვენებს გონიერად მოიქცენ და ერთმანეთის დათმობა ისწავლონ (ჩემები იძახიან „ოჰო!“). ჩემები და გერმანელები ეროვნულ საქმეში თუ აქამდე ვერ მორიგდნენ, ეს იმის ბრალია, რომ ორივე ერთ გარეგან ფორმას ჩასციებია, დავის შინაარსს-კი უკრძალავს არ აქცევს. შემდეგ კერბერმა ჰუნგრეთთან შეთანხმებაზე ილაპარაკა. თუმცა ძლიერ ეცადა, მაინც მთავრობამ შეთანხმება ვერ დაასრულა, მაგრამ მტკიცე იმედი აქვს, რომ მიზანს მიაღწევს; მთავრობა ჰუნგრეთს უსათუოდ მოურიგდება. მაგრამ ავსტრიის ინტერესებს-კი არასოდეს არ უღალატებს.

კერბერს ჩემების დეპუტატმა პაცკამა უპასუხა: „პირველმა მინისტრმა ძლიერ მნიშვნელოვან და საყურადღებო საქმეზე ილაპარაკა, მაგრამ ისე ილაპარაკა, რომ არა თუ საქმეს არა უშველა-რა, პირიქით, წაახდინა (ჩემები დემონსტრატულად იწონებენ დეპუტატის ნათქვამს). პასუხს ჩემის ერისაგან მიიღებს მინისტრი... მინისტრის სიტყვები ძლიერ ააღელვებენ ჩემებს. კერბერის პრინციპები შემცდარი პრინციპებია და ჩვენის ქვეყნის კონსტიტუციასაც არღვევენ“. პაცკამა მოითხოვა, კერბერის სიტყვის თაობაზე ეხლავე კამათი გაიმართოსო, თან გამოაცხადა, ვერაფერ ვერას დროს ვერ მოახერხებ, რეინსტრატის ისეთი კანონი გამოაცემინოს, რომ გერმანული ენა სახელმწიფო ენად აღიარებინოსო. პაცკის წინადადება ერთხმად მიიღო რეინსტრატმა და კამათი ამ საგნის შესახებ შემდეგ სხდომისათვის დანიშნა.

**შეერთებული შტატები.** სანამ პენსილიანიის მადნებში მუშაობა დაიწყებოდა, პრეზიდენტ რუზველტსა და ქვა-ნახშირის მუშების მეთაურს მიჩელს თათბირი ჰქონდათ გამართული. ამერიკის გაზეთებში სწერენ: პრეზიდენტ რუზველტმა მიჩელი ვაშინგტონში მიიწვია მოსალაპარაკებლად. მიჩელი პირველისავე მატარებლით წავიდა; ვაშინგტონში ჩასვლის უმაღლე პრეზიდენტი ნახა და საათზე მეტი ესაუბრა. ამათ საუბარს შრომის დეპარტამენტის კომისარი რაიტიც დაესწრო. პრეზიდენტის სასახლიდან მიჩელი გადმოსახლებულთა ბიუროს უფროს კომისარ სარჯენტსთან წავიდა მოსალაპარაკებლად. აქედან მიჩელი ისევ

პრეზიდენტის სასახლეში დაბრუნდა და იქ ისევ თითქმის მთელი საათი ელაპარაკა რუზველტს. ამის შემდეგ მიჩელი პენსილიანიაში დაბრუნდა და მუშების აღმასრულებელ კომიტეტების საზოგადო კრება მოახდინა. კრებას დაედგინა პრეზიდენტ რუზველტის წინადადებას დასთანხმდეთ და ჩვენი საქმის გადაწყვეტა რუზველტისაგან არჩეულ სამედიატორო კომისიის მივანდოთო. პოლოს მადნის პატრონებიც დასთანხმდნენ რუზველტის წინადადებას და ამიტომ მადნებშიც მუშაობა დაიწყო. სანამ კომისიის დადგენილებას გამოაცხადებენ, კავშირის მუშებმა ვარეშე მუშებთან ერთად უნდა იმუშავონ. ეს ვარეშე მუშები მუშაობის აღკვეთის წინააღმდეგ იყენენ. კომისიის წევრებზე პრეზიდენტი ხუთს კაცს დაპირუნავს: ერთს საინფერეო უწყების მოხელეს, ერთს გამოჩენილ მადნის ინჟინერს, ერთს მოსამართლეს, ერთს გამოჩენილ ეკონომისტს და ერთს გამოცდილს ვაჭარს.

**მაკედონია.** მაკედონიის კომიტეტის თავმჯომარე მიხაილოვსკი ევროპაში მოგზაურობას აპირებს იმ აზრით, რომ დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს მაკედონიისათვის შემწეობა სთხოვოს.

ბოლგარული გაზეთები თავზარდამცემ ამბებს მოგვითხრობენ მაკედონიის შესახებ. მაგრამ ბოლგარიის ოფიციალური გაზეთები კი ხმასაც არ იღებენ ამ საშინელ ამბების თაობაზე. ეტყობა, ბოლგარიის ოფიციალურ წრეებს არც თუ ძლიერ სჯერათ მაკედონიის კომიტეტის ცნობები; სხვა ცნობები კი არა მოდის-რა სოფლიში. მაგრამ ბოლგარიისა და მაკედონიის საზღვარზე მაინც არაა მშვიდობიანობა. ეს იქიდანაც ხსანს, რომ მაკედონიიდან ბევრი გამოქცეული ხალხი მოდის ბოლგარიაში.

ოსმალეთის მთავრობაც ვითომ არად აგდება მაკედონელების აჯანყებას, უბრალო უწყსობააო, მაგრამ ჯარებს მაინც კი ბლომად ჰგზავნის მაკედონიაში. ბოლგარიის მთავრობასაც გაუგზავნია ჯარები მაკედონიის საზღვარზე.

**ახალი ამბავი**

დღეისთვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულა სხდომა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ფინანსთა სამინისტროს პროექტი **პრესის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ.**

გუმინ, 11 ოქტომბერს, ხორციის დუქნების გამგე-კომისიამ დაათვლიერა ავლაბარში სახლები ვარშაშოვისა, ცატუროვისა და გულასპოვისა. როგორც ვუწყით, **ავლაბარში ზორგის დუქანი** უნდა გახსნან. კომისიამ მოიწონა გულასპოვის სახლი მეტეხის ქუჩაზე და გადასწყვიტა შეაკეთონ იგი დუქნისათვის.

ამას წინააღმდეგ ხმოსანმა ბულდანოვ-ბაღდასაროვმა საბჭოს კრებაზე გამოაცხადა, რომ ქალაქის ზოგიერთი აგენტები **ზორგად ხარკვებობენ** თავიანთ სამსახურით და ქალაქის მიწებს ითვისებენო. როგორც მაგალითი, ხმოსანმა დაასახელა ქალაქის სავაჭრო პოლიციის ზედამხედველი ი. ფურცე-ლაძე.

ბ-ნ ფურცელაძეს ცილის-წამებად მიუღია ხმოსნის ასეთი განცხადება და სასამართლო-სათვის საჩივარი მიუცია, ბ-ნი ბულდანოვ-ბულდასაროვი ჩემის შეურაცხყოფისათვის პასუხის გებაში მიეცითო.

ტფილისის გუბერნატორს წარუდგენია მთავარ-მართებლისათვის დასამტკიცებლად პროექტი **გარის ხიდისა** და მდინარეების ნაპირების გამაგრებისა.

**ღამის თავშესაფარი** მყოფმა 14 კაცმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნუ დავიშლით თავშესაფარში ღამის თევას, სანამ მუშაობას არ ვიშოვით, ესლა-კი სრულებით უმუშაოთ დავდივართო. გამგეობამ ნება დართო ამ 14 კაცს თავშესაფარში დარჩნენ.

ამ რამდენისამე ხნის წინად სამხედრო უწყებამ ავლაბარში სანოვაციის საწყობების გასამართავად **მიხაილოვსკი** მურავიოვისა, კნორინგისა და პეტრე-პავლეს ქუჩების ერთი ნაწილი. ამ საქმის შესახებ ატეხილ დავის გამო უმაღლესს მთავრობის მინდობილებით ტფილისის გუბერნატორი შეეკითხა ამას წინად ქალაქის გამგეობას, რა უფლება აქვს ქალაქს სამხედრო წოდების მიერ დაქვრივლ ადგილებზე. ქალაქის გამგეობამ



